# ჩვენთან ერთად იზეიმეთ ენების ევროპული დღე 26 სექტემბერს!



## რა არის ენების ევროპული დღე (ეედ)?

ეს დღე ხელს უწყობს ენების შესწავლას მთელ ევროპაში.

სტრასბურგი, ევროპის საბჭოს ინიციატივით 2001 წლიდან ყოველი წლის 26 სექტემბერს აღინიშნება ენების ევროპული დღე.

## იცოდით თუ არა რომ...?



- მსოფლიოში არსებობს 6000-დან 7000 ენამდე და მათგან დაახლოებით 225 ევროპის მკვიდრი მოსახლეობის ენაა.
- მსოფლიოს ენების უმეტესობას სალაპარაკოდ აზიასა და აფრიკაში იყენებენ.
- მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი მაინც ორენოვანი ან მრავალენოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ლაპარაკობენ ორ ან მეტ ენაზე ან ესმით ორი ან მეტი ენა.
- ორენოვნება აიოლებს სხვა ენების შესწავლას და აუმჯობესებს აზროვნების პროცესს.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს!

## რატომ ვზეიმობთ ეედ-ს?



- იმიტომ, რომ საზოგადოების ყურადღება მივმართოთ ენების შესწავლის მნიშვნელობისადმი, რათა ხელი შევუწყოთ მრავალენოვნებასა და ინტერკულტურულ ურთიერთგაგებას;
- პოპულარიზაცია გავუწიოთ ევროპის მდიდარ ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებას;
- ხელი შევუწყოთ ენების შესწავლას მთელი ცხოვრების მანძილზე, სკოლაში და მის გარეთ.

## ვისთვის არის ეს დღე?



- მოსწავლეების/სტუდენტების/მასწავლებლებისთვის
- უნივერსიტეტების/სკოლების/კულტურული ინსტიტუტების/ენის ინსტიტუტებისათვის
- ასოციაციებისათვის...

ფაქტობრივად ყველასთვის, ვისაც სურს ევროპის ლინგვისტური მრავალფეროვნების აღნიშვნა.

WWW.COE.INT/EDL

შემოგვიერთდით ფეისბუკზე: facebook.com/ecml.celv

EUROPEAN CENTRE FOR MODERN LANGUAGES
ECML
CELV
CENTRE EUROPEEN POUR LES LANGUES VIVANTES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE